V კლასის (განსაკუთრებული მნიშვნელობის) შენობა-ნაგებობის განმსაზღვრელი მახასიათებლები

1. V კლასის შენობა-ნაგებობები ხასიათდება რისკის მო-მე-ტე-ბული ფაქტორით.

2. V კლასს განეკუთვნება:

ა) სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც ხორციელდება საშიში საწარმოო პროცესები და გამოიყენება მაღალ წნევასა და ტემპერატურაზე მომუშავე მოწყობილობა, აგრეთვე საშიში ნივთიერებები, კერძოდ:

ა.ა) სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების დამამზადებელი საწარმოები;

ა.ბ) მაღალი წნევის ბუნებრივი გაზისა და თხევადი ნახ-შირბადიანი გაზის საკომპრესორო, გაზგამანაწილებელი და შემვსები სადგურები, გარდა სატრანსპორტო საშუალებების გაზით გასამართი სადგურებისა;

ა.გ) დღე-ღამეში 100 ტ-ზე მეტი მწარმოებლურობის მინე-რალური სასუქის მწარმოებელი საწარმოები;

ა.დ) დღე-ღამეში 500 ტ-ზე მეტი მწარმოებლურობის ნავ-თობ- და გაზგადამმუშავებელი საწარმოები;

ა.ე) ჰაერის დაყოფის პროდუქტების (ჟანგბადი, აზოტი, არგონი, კრიპტონი, ქსენონი და ნეონჰელიუმის ნარევი) მწარ-მოებელი და მომხმარებელი საწარმოები;

ა.ვ) ქიმიური ბოჭკოს, პოლიმერული მასალების მწარმოე-ბელი საწარმოები;

ა.ზ) საღებავი მასალების მწარმოებელი საწარმოები, რომ-ლებშიც მიმდინარეობს პროცესები ქიმიური ტექნოლოგი-ების გამოყენებით;

ა.თ) ცელულოზაქაღალდის მწარმოებელი საწარმოები;

ა.ი) რეზინტექნიკური ნაკეთობების მწარმოებელი საწარ-მოები;

ა.კ) დღე-ღამეში 10 ტ-ზე მეტი მწარმოებლურობის სპირ-ტის საწარმოები;

ა.ლ) ცივი და ცხელი ნაგლინის მწარმოებელი საწარმო-ები;

ა.მ) შავი და ფერადი ლითონების ჩამოსხმის საწარმოები;

ბ) 1000 $მ^3$-ზე მეტი მოცულობის, 50 მ-ზე მეტი სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 30 მ-ზე მეტი ჩაღრ-მა-ვების მქონე ნაგებობა;

გ) შენობა-ნაგებობა, რომლის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე მეტია 24 მ-ზე;

დ) ხაზობრივი ნაგებობები – I კატეგორიის (მაგისტრა-ლური) ნავთობსადენი და გაზსადენი, I კატეგორიის (გარე ქსე-ლი) წყალსადენი, I კატეგორიის წყალარინების მილი, I და II კატეგორიის ელექტროგადამცემი ხაზი, I კატეგორიის სამე-ლი-ო-რაციო და საირიგაციო ნაგებობა, I კატეგორიის რკი-ნიგზა, I კა-ტეგორიის საავტომობილო გზა, ფუნიკულიორი, სა-ჰაერო-საბაგირო გზა, გვირაბები;

ე) ელექტროქვესადგური 330 კ.ვოლტი და მეტი; I კატეგო-რიის ელექტროსადგურები (თბოელექტროსადგური, ჰიდრო-ელექ-ტროსადგური 50 მვტ და მეტი);

ვ) წყალსაცავი 100 000 $მ^3$-ზე მეტი მოცულობისა;

ზ) ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, აგრეთვე თხევადი აირის საცავები – ტერმინალები, ავზების ჯამური მოცუ-ლობით 1000 $მ^3$-ზე მეტი;

თ) ნაგავსაყრელი ნაგებობა;